



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე “



ბრძანება:ბ72.01210772

თარიღი:18/03/2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში“ „არქიტექტურის, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის კონკურსის“ კომისიების დამტკიცების, თარიღების, თემისა და კომისიის წევრების განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 6 მაისის N18.37.533 განკარგულებით დაფუძნებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წესდების (დებულება) მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის 5.2.10. ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ „არქიტექტურის, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის კონკურსის“ თარიღები შემდეგი სახით:

- ნაშრომების მიღება 10 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით;
- ნაშრომები შეფასდება 25 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით;
- ნაშრომის შედეგები გამოქვეყნდება 10 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით;
- ნაშრომის აპელაცია მიიღება 16 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით;
- ნაშრომის აპელაციის შედეგები გამოცხადდება 22 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით;
- გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოვება მოხდება 30 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით;

2. განისაზღვროს ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ „არქიტექტურის, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის კონკურსის“ თემა შემდეგი სახით:

- **საინჟინრო გრაფიკა-** გეომეტრიული სხეულების ურთიერთობით მიღებული მოცულობითი კომპოზიცია (მაკეტი).

მითითება - მაკეტი უნდა შეადგენდეს გეომეტრიული სხეულების ურთიერთობით მიღებულ მთლიან ფორმას, რომელშიც შეიძლება გამოყენებული იქნას 7-12 სხეული. დასაშვებია ერთი და იგივე სხეულის რამოდენიმეჯერ გამოყენება. გადმოგზავნილი ფოტოები სრულად უნდა ასახავდეს კომპოზიციის ყველა ელემენტს.

- **არქიტექტურა**- საცხოვრებელი სახლი

მიზნობა - ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს მაკეტის, გეგმის ან ესკიზის სახით. ფოტოები სრულად უნდა ასახავდეს გარე ფასადებს და შიდა სივრცეს.

- **კომპიუტერული გრაფიკა**- თავისუფალი თემა - მანიპულაცია

სამუშაო პროგრამა - Adobe Photoshop

მიზნობა - ნამუშევართან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს რეფერენსები (სამუშაო მასალა)

3. დამტკიცდეს ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ „არქიტექტურის, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის კონკურსის“ საორგანიზაციო, შემფასებელთა და სააპელაციო კომისიები დანართი N1-ით გათვალისწინებული შემადგენლობით;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების გაცნობა კომუნიკაციებისა და რეგისტრაციის სამსახურისათვის;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასახლის დირექტორის მოადგილეს ე.ჭაჭიაშვილს;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეიანი, მე-12 კმ, N6)

თინათინ რუხაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

